ბრძანება:**№46. 46241692**
თარიღი:**17/06/2024**

მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 1 მარტის №46.46240612 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 1 მარტის №46.46240612 ბრძანებაში:
ა) ბრძანების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
,,საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის “ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის 3-ე პუნქტის და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანების შესაბამისად“
ბ) ბრანების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
,,მუხლი 1.
დამტკიცდეს:

ა) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება/განახლების, 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა დანართი #1 - ის შესაბამისად (თან ერთვის);

ბ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება/განახლების, 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების შიდა საბიუჯეტო კალენდარი დანართი #2 - ის შესაბამისად (თან ერთვის).“.

გ) ბრძანების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,მუხლი 2.

ა) გენდერული ბიუჯეტირების დანერგვის მიზნით, შესაბამისმა სამსახურებმა, მერიის გენდერზე პასუხისმგებელ პირთან კოორდინაციით უზრუნველყონ მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამების/ქვეპროგრამების კავშირების იდენტიფიცირება გენდერულ ჭრილში. აღნიშნული კავშირები ასახონ პრიორიტეტების დოკუმენტში, საშუალოვადიან სამოქმედო გეგმასა და ბიუჯეტის პროგრამულ დანართში;

ბ) გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების SDG 2030 ლოკალიზების უზრუნველყოფის მიზნით

შესაბამისმა სამსახურებმა მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალიტეტის ადგილობრივი საბჭოსთან კოორდინაციით უზრუნველყონ მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამების/ქვეპროგრამების კავშირების იდენტიფიცირება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან. აღნიშნული კავშირები ასახონ პრიორიტეტების დოკუმენტში, საშუალოვადიან სამოქმედო გეგმასაში, ბიუჯეტსა და ბიუჯეტის პროგრამულ დანართში;

დ) ბრძანების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,მუხლი 3.

ა) ამ ბრძანების შესრულების კოორდინაცია განახორციელოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად;

ბ)საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებლებისათვის შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა და საბიუჯეტო კალენდრის შესაბამისად შესაბამისი საბიუჯეტო დოკუმენტების/ფორმების მიწოდება.“.

2..ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქუჩა N4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით შარაშიძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია-
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი 1

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება/განახლების, 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა

წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო ჯგუფი (შემდგომში „სამუშაო ჯგუფი“) განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

დავით შარაშიძე	მერი - თავმჯდომარე
მაია კუტუბიძე	მერის პირველი მოადგილე - თანათავმჯდომარე
მაია გოგოლაძე	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი
ზაზა ოსეფაიშვილი	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი
თეა უჯმაჯურიძე	ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი
ბექა სირაძე	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - სამუშაო ჯგუფის მდივანი
ნიკოლოზ დუმბაძე	სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი
ვლადიმერ გოგიბერიძე	მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი
გია გიორგაძე	ეკონომიკისა და ქონების მართის სამსახურის უფროსი
თეა მამალაძე	განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი
ირაკლი ახობაძე	ზედამხედვალობის სამსახურის უფროსი
დავით თოდრია	არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი
ალეკო კვინტრაძე	მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი
მაია პაიჭაძე	მერიაში გენდერზე პასუხისმგებელი პირი

დანართი 2

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა
და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება/განახლების, 2025 წლის ბიუჯეტის
პროექტის მომზადების
მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო კალენდარი

ვადები	აქტივობა
1 მარტი - 5 მარტი	სამართლებრივი აქტის შესაბამისად **იკრიბება სამუშაო ჯგუფი** და იწყება მუშაობა პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი გეგმის მომზადება/განახლების და დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადებაზე
6 მარტი - 18 მარტი	მოქალაქეების ჩართულობის მიზნით სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს საბიუჯეტო პროცესში მოქალაქეების ჩართულობის ფორმებს და მათ მიერ შესავსებ კითხვარებს სფეროების მიხედვით
19 მარტი - 20 მარტი	**სამუშაო ჯგუფი იკრიბება** და განიხილავს მოქალაქეთა ჩართულობის შემუშავებულ ფორმებს, შესავსებ კითხვარებს და შეიმუშავებს დარგობრივი სამსახურების მოქალაქეებთან შეხვედრის განრიგს
21 მარტი-20 მაისი	დარგობრივი სამსახურების/სფეროების სპეციალისტები - სამუშაო ჯგუფის წევრები საბიუჯეტო პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მიზნით განრიგის მიხედვით ახორციელებენ მოქალაქეების გამოკითხვას, აგროვებენ მოქალაქეების მიერ შევსებულ კითხვარებს, აანალიზებენ და სამუშაო ჯგუფისთვის წარსადგენად ამზადებენ შემდეგ ინფორმაციას: 1) რამდენი შეხვედრა იქნა მათ მიერ ჩატარებული, როგორი იყო მოსახლეობის ჩართულობა სქესის, ასაკის მიხედვით; 2) რამდენად კმაყოფილია მუნიციპალიტეტის მოსახლეობა არსებული პოლიტიკის ფარგლებში გასულ წელს განხორციელებული პროგრამებით; 3) მოქალაქეთა აზრით, რომელია ის პრიორიტეტული სფეროები, რომლებშიც ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა გაუმჯობესოს თავისი პოლიტიკა შემდგომ წლებში; 4) ახალი პოლიტიკის ფარგლებში რომელი ახალი პროგრამის/ქვეპროგრამის დამატებას ისურვებდნენ
21 მაისი - 17 ივნისი	დარგობრივი სამსახურები სამუშაო ჯგუფისთვის წარსადგენად ამზადებენ თავიანთი პრიორიტეტების შესახებ ინფორმაციას და ასევე ამზადებენ ინფორმაციას მოქალაქეთა ჩართულობის შედეგების შესახებ
18 ივნისი - 20 ივნისი	**სამუშაო ჯგუფი იკრიბება** პრიორიტეტების დასადგენად და/ან უკვე განსაზღვრული პრიორიტეტების გასაახლებლად დარგობრივი სამსახურები სამუშაო ჯგუფს წარუდგენენ პრიორიტეტების შესახებ ინფორმაციას და ასევე წარუდგენენ ინფორმაციას მოქალაქეთა ჩართულობის შედეგების შესახებ

21 ივნისი - 4 ივლისი	დარგობრივი სამსახურები სამუშაო ჯგუფის მიერ გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე ახდენენ პრიორიტეტების განახლებას
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მუნიციპალიტეტისთვის დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრების ცნობებიდან 5 დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 20 ივლისისა	მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით გაიანგარიშებს შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლებს და იწყებს შესაბამის პროცედურებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის შესადგენად
20 ივლისი	მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით საბიუჯეტო ორგანიზაციებს უგზავნის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმებისა და საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით
21 ივლისი-1 აგვისტო	საბიუჯეტო ორგანიზაციები პრიორიტეტების დოკუმენტის **პირველადი** ვარიანტის სამუშაო ჯგუფისთვის წარდგენის მიზნით, ანახლებენ თავიანთ ინფორმაციებს საფინანსო სამსახურის მიერ მიწოდებული ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების გათვალისწინებით
არაუგვიანეს 1 აგვისტოსი	საბიუჯეტო ორგანიზაციები განახლებულ ინფორმაციას უგზავნიან საფინანსო სამსახურს, მის მიერ მიღებული ინფორმაციის გაერთიანების საფუძველზე პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის დოკუმენტის მომზადების მიზნით
1 აგვისტო-3 აგვისტო	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაციის გაერთიანების საფუძველზე ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის **პირველად** ვარიანტს და უგზავნის სამუშაო ჯგუფს
4 აგვისტო - 6 აგვისტო	**სამუშაო ჯგუფი იკრიბება** და განიხილავს პრიორიტეტების დოკუმენტის **პირველად** ვარიანტს და სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის მერი იღებს გადაწყვეტილებას სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პრიორიტეტის დოკუმენტის **პირველადი** ვარიანტის მოწონების თაობაზე
7 აგვისტო-13 აგვისტო	მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლება პრიორიტეტების დოკუმენტით განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებების პროგნოზირებადი ფინანსური რესურსების ფარგლებში საფინანსო სამსახურის მიერ მიწოდებული ფორმების საფუძველზე ამზადებს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმა საფუძვლად უნდა დაედოს საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს, ყველა იმ ქვეპროგრამასა და პროგრამას რომლებიც შემდგომში აისახება წლიურ ბიუჯეტში. ეს დოკუმენტი გამოყენებული უნდა იქნეს როგორც ხიდი შიდა ფინანსური კონტროლის მექანიზმებს, პრიორიტეტების დოკუმენტსა და პროგრამულ ბიუჯეტს შორის
არაუგვიანეს 14 აგვისტოსი	მუნიციპალიტეტის შესაბამისი საბიუჯეტო ორგანიზაციები და მათში შემავალი სტრუქტურული ერთეულები საფინანსო სამსახურს უგზავნიან საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებს

14 აგვისტო-20 აგვისტო	სამუშაო ჯგუფი ასრულებს მუშაობას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე, საფინანსო სამსახური აერთიანებს საბიუჯეტო ორგანიზაციების მიწოდებულ ინფორმაციას, საბოლოო სახეს აძლევს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დოკუმენტს
არაუგვიანეს 25 აგვისტოსი	**სამუშაო ჯგუფი იკრიბება** და იხილავს საშუალოვადიან სამოქმედო გეგმას, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე - მერი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს საშუალოვადიან სამოქმედო გეგმას, აღნიშნული დოკუმენტი მუნიციპალიტეტის შიდა მოხმარების დოკუმენტია და მასში ცვლილების შეტანა შესაძლებელია ზემოაღნიშნული სამუშაო ჯგუფის და უწყების შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ფარგლებში გამოვლენილი რეკომენდაციებისა და წინადადებების საფუძველზე
26 აგვისტო-15 სექტემბერი	მუნიციპალიტეტის შესაბამისი საბიუჯეტო ორგანიზაციები და მათში შემავალი სტრუქტურული ერთეულები საფინანსო სამსახურის მიერ მიწოდებული საბიუჯეტო განაცხადების ფორმების მიხედვით იწყებენ მუშაობას საბიუჯეტო განაცხადზე პრიორიტეტის დოკუმენტის პირველადი ვარიანტის ფარგლებში მოწონებული ასიგნებების და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობის მიხედვით
არაუგვიანეს 15 სექტემბრისა	მუნიციპალური სამსახურები შევსებულ საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს, დამატებითი ასიგნებების მოთხოვნებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), განსახილველად წარადგენენ საფინანსო სამსახურში
15 სექტემბერი - 1 ოქტომბერი	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური იხილავს შევსებულ საბიუჯეტო განაცხადებს და ამზადებს მომავალი წლის წლიური ბიუჯეტის პროექტის წინასწარ ვარიანტს
არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა	მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო ბიუჯეტის პროექტის წინასწარ ვარიანტს განსახილველად წარადგენს მერის ბრძანებით შექმნილ სამუშაო ჯგუფში, სამუშაო ჯგუფში ასევე წარდგენილი უნდა იყოს სამსახურების მოთხოვნები დამატებით ასიგნებებზე შესაბამისი სამიზნე მაჩვენებლებით
განაცხადების წარდგენის მეორე დღიდან არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა	**სამუშაო ჯგუფი იკრიბება** და განიხილავს ბიუჯეტის პროექტის წინასწარ ვარიანტს
არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა	მას შემდეგ რაც, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მუნიციპალიტეტის ორგანოებს აცნობებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა (მ.შ. მიზნობრივი ტრანსფერი) და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს, მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური განახლებული მონაცემების გათვალისწინებით სამუშაო ჯგუფთან კონსულტაციებით, შესაბამისი სამსახურების ჩართულობით, აგრძელებს მუშაობას მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტისა და მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტზე
მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პარამეტრების საფუძველზე ამზადებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დელეგირებული უფლებამოსილებების პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების გაანგარიშებებს, მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობას.
6 ოქტომბერი - 5 ნოემბერი	დარგობრივი სამსახურები საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან კოორდინაციით აგრძელებენ მუშაობას მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტისა და მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტზე, მის თანდართულ მასალებზე
არაუგვიანეს 5 ნოემბრისა	დარგობრივი სამსახურები განახლებულ პრიორიტეტების დოკუმენტსა და მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად წარუდგენენ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს

არაუგვიანეს 8 ნოემბრისა	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური განახლებულ პრიორიტეტების დოკუმენტსა და მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად წარუდგენს სამუშაო ჯგუფს
9 ნოემბერი - 12 ნოემბერი	**სამუშაო ჯგუფი იკრიბება** და განიხილავს განახლებულ პრიორიტეტების დოკუმენტსა და მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს
არაუგვიანეს 15 ნოემბრისა	მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად (მ.შ. პრიორიტეტების დოკუმენტის **გადამუშავებული** ვარიანტი, პროგრამული ბიუჯეტის დანართი, კაპიტალური ბიუჯეტის დანართი, განმარტებითი ბარათი (რომელშიც ასახული იქნება ინფორმაცია საბიუჯეტო პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ), ინფორმაცია მუნიციპალურ სსიპ-ების და ააიპ-ის ბიუჯეტზე) განსახილველად წარუდგენს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი თანდართულ მასალებთან ერთად ასევე წარედგინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტის პროექტთან ერთად მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს წარედგინება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დელეგირებული უფლებამოსილებების პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების გაანგარიშებები, მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა, წარმომადგენლობითი ორგანო იხილავს მათ და განხილვის შედეგების გათვალისწინებით მზადდება სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის ორგანოებს შორის (საჭიროების შემთხვევაში) ხელშეკრულების პროექტი სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილებების შესახებ
არაუგვიანეს 25 ნოემბრისა	მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს მუნიციპალიტეტის მერს
შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ბიუჯეტის პროექტის შენიშვნებით მუნიციპალიტეტის მერისთვის დაბრუნების შემთხვევაში, არაუგვიანეს 10 დეკემბრისა	**სამუშაო ჯგუფი იკრიბება,** განიხილავს შენიშვნებს და მუნიციპალიტეტის მერი ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტებს წარუდგენს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს
საკრებულოს მიერ ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა	ადმინისტრაციული სამსახური დამტკიცებულ ბიუჯეტს თავის თანდართული მასალებით, მ.შ. პრიორიტეტების დოკუმენტს ათავსებს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე
საკრებულოს მიერ ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებიდან არა უგვიანეს 10 დღისა	მოქალაქეთა გზამკვლევის მომზადების მიზნით დარგობრივი სამსახურები საფინანსო სამსახურს აწვდიან შესაბამის ინფორმაციას
საკრებულოს მიერ ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებიდან არა უგვიანეს 20 დღისა	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ამზადებს მოქალაქის გზამკვლევის დოკუმენტს **სამუშაო ჯგუფი იკრიბება** და განიხილავს მოქალაქის გზამკვლევის დოკუმენტს გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით ადმინისტრაციული სამსახური დოკუმენტს ათავსებს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე
საკრებულოს მიერ ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებიდან არა უგვიანეს 20 დღისა	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უგზავნის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტს